

კამპანიის იდეის და საკომუნიკაციო სტრატეგიის აღწერა

სტადიონზე ფეხბურთის მატჩზე წასასვლელად გულშემატკივრის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია სხვა გულშემატკივრების სტადიონზე მისვლაა, რადგან მხოლოდ სავსე სტადიონს შეუძლია იმ ემოციის გამოწვევა, რასაც გულშემატკივარი ელის თამაშზე მისვლისას.

ქართულ კლუბურ თამაშებზე დაბალი დასწრების გამო თითოეული გულშემატკივარი თვლის, რომ მისი როგორც ერთი ინდივიდის მისვლა სტადიონზე ვერ გამოიწვევს ვერანაირ პოზიტიურ ცვლილებას. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ასე თვლის, დღეს კლუბურ თამაშებზე სტადიონები არის ცარიელი.

ჩვენი კამპანიის მიზანია, შევცვალოთ ეს დამოკიდებულება და ვაგრძნობინოთ გულშემატკივარს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ერთია, ის არ არის სულერთი.

მოცემული სტრატეგიიდან გამომდინარეობს კამპანიის სლოგანი #არხარსულ1 .

კამპანიის მთავარი იდეა ეფუძნება კამპანიის მარკეტინგულ მიზანს, რომელიც გულისხმობს მეტი გულშემატკივრის მიყვანას სტადიონებზე. მთავარი იდეის მიხედვით, გულშემატკივრობას აზრი ეკარგება თუ ის არ ხდება სტადიონზე, რადგან ცარიელი სტადიონი ახდენს ფეხბურთელების დემოტივაციას, რის შედეგადაც თამაშის ხარისხი არ უმჯობესდება.

კამპანია გაიხსნება ვიდეო რგოლით, რომელიც გავრცელდება ინტერნეტში სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა საიტებზე ვიდეო -რგოლის სახით. კლიპი პირდაპირი ემოციის გამოწვევის გზით დაანახებს გულშემატკივარს, რომ ის მნიშვნელოვანია და მოუწოდებს იყოს იქ, სადაც მისი გულშემატკივრობა სულერთი არ არის.

ვიდეო რგოლის კვალდაკვალ მოხდება დიჯიტალ აქტივობის განხორციელება: ფეხბურთელების პირადი ვიდეო-მოწვევების გაგზავნა სხვადასხვა კლუბის გულშემატკივრებთან, იმისათვის, რომ ვაგრძნობინოთ რამდენად მნიშვნელოვანია მათი სტადიონზე მისვლა. უფასო ბილეთი კი იქნება სტიმული; გულშემატკივარს მხოლოდ ის ექნება დარჩენილი რომ მივიდეს თამაშზე.

კამპანიის ცნობადობის და ეფექტიანობის გასაზრდელად თბილისში, ხალხმრავალ ადგილას დამონტაჟდება ინტერაქტიული ეკრანი, რომელიც იქნება კამპანიის მთავარ იდეის კიდევ ერთი გამოხატულება და დაანახებს ადამიანებს, რომ მხოლოდ სტადიონზეა მათი გულშემატკივრობა ეფექტიანი. მოცემული აქტივობა მიიქცევს ყურადღებას როგორც ქუჩაში გამვლელებში ასევე სოც. მედიაში.

გარდა მოცემული გარე აქტივობისა, აქტიურად მოხდება კამპანიის სლოგანის კომუნიკაცია გარე რეკლამის საშუალებით. ქუჩაში გაკრული ბილბორდები, პოსტერები ხელს შეუწყობს კამპანიის ცნობადობის გაზრდას და კლიპთან ერთად მთავარი იდეის მხარდაჭერას.

ჩვენს მიერ ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე აღმოჩნდა რომ გულშემატკივარს სჭირდება დამატებითი ბენეფიტი სტადიონზე მისასვლელად. ამისათვის განხორციელდება აქტივობები უშუალოდ სტადიონზე, რომელიც მოიცავს ფოტო კუთხის მოწყობას. ასევე დამონტაჟებულ ეკრანებზე გულშემატკივრის სახალისო ემოციების და მესიჯების ჩვენებას. ეს უკანასკნელი აქტივობა იქნება კამპანიის ხელშემწყობი და იმის გამომხატველი, რომ მხოლოდ სტადიონზე მოსვლით შეიძლება ფეხბურთელს მიაწვდინო შენი მესიჯი, შემახილი.

საბოლოო ჯამში, ჩატარებული აქტივობებით ფეხბურთის გულშემატკივარი გაიგებს მისი, როგორც ერთი რიგითი გულშემატკივარის სტადიონზე მისვლის მნიშვნელობას, გაიზრდება კლუბური თამაშების მიმართ ცნობადობა და ინტერესი. დამატებითი შეთავაზებული ბენეფიტები და სტადიონებზე განხორციელებული აქტივობები კი კამპანიის შედეგად გაჩენილ ემოციურ ფონთან ერთად გაზრდისკლუბურ თამაშებზე სტადიონზე დასწრებას.